

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 499-2016

ქ. თბილისი

15 დეკემბერი, 2016 წელი

ერთი მხრივ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქ. ქოქრაშვილის სახით („შემსყიდველი“), და მეორე მხრივ – შპს „პრინტარეა“ მისი დირექტორის თ. სანაძეს სახით („მიმწოდებელი“), ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს:

- ფოტო სურათი (A1) (დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით) (CPV22315000 - ფოტოები) – 3 ცალი, საერთო ღირებულებით 145 ლარი;
- ფოტო სურათი (A2) (დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით) (CPV22315000 - ფოტოები) – 40 ცალი, საერთო ღირებულებით 760 ლარი.

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება – გამარტივებული შესყიდვა

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 905 (ცხრაას ხუთი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილია შემსყიდველი მხარე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სტუ-ს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ს. ფარსელაშვილი, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერი პირი შემსყიდველის მხრიდან – სტუ-ს საწყოების გამგე ს. ფრანგიშვილი.

4. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე.

4.2. მისამართი ქ. თბილისი, კოსტავას 77. სტუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსში მდებარე საწყოში.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნაღები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 რდღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ვეზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
მის: კოსტავას ქ. №77
სახელმწიფო ხაზინა
ა.ა. სახაზინო კოდი 708977289
ს.კ. 211349192
ბანკის კოდი TRESGE22

მიმწოდებელი:

შპს „პრინტარეა“

სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა.ა. GE16TB7465036020100001
ს.კ. 404 384 395

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ. ქოქრაშვილი

დირექტორი
თ. სანაძე

